ხელშეკრულება № 129

ქ.რუსთავი 24 დეკემბერი 2012 წელი

ა.ა.ი.პ. „ქალაქ რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში „მყიდველი“), მისი დირექტორის ია ქელბაქიანის სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს.“სოფი“ (შემდგომში „გამყიდველი“), მისი დირექტორის სოფია ჟამერაშვილის სახით, მეორეს მხრივ, შევთანხმდით ურთიერთშორის და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით “გამყიდველი” მოვალეა გადასცეს “მყიდველს” საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

1.2. “მყიდველი” მოვალეა გადაუხადოს “გამყიდველს” შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს 30 (ოცდაათი) ცალი საბავშვო საწოლის გადასაფარებელი.

2.2. ხელშეკრულების ობიექტი განკუთვნილია 10–ე ფილიალისთვის.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობები

3.1. “გამყიდველი” მოვალეა გადასცეს “მყიდველს” საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

3.2. “გამყიდველი” მოვალეა “მყიდველს” გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

3.3. „გამყიდველი“ მოვალეა მიაწოდოს “მყიდველს” საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ქონება.

3.4. “მყიდველი” ვალდებულია მიიღოს ნივთი და აანაზღაუროს მისი ღირებულება.

4. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის წესი

4.1. ხელშეკრულების ობიექტის საცალო ღირებულება შეადგენს 12.5 (თორმეტი) ლარს და 50 თეთრს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 375 (სამასსამოცდათხუთმეტი) ლარს.

4.3. ანგარიშწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5..1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის მომენტიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

გამყიდველი	მყიდველი
შ.პ.ს. „სოფი“	ა.ა.ი.პ ქ.რუსთავის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანება
მის:ქ.რუსთავი, ე.წ. „სტამბულის ბაზარი“	მის:ქ.რუსთავი გ.ნიკოლაძის ქ.№16ა
ს/ნ 416 291391	ს/ნ 216439325
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
GE71BG0000000343315900	ბანკის კოდი: 220101413
	ა/ა GE85LB0115115445188000